№ 232 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. ხუთშაბათი ოქტომბერს 14 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## მეცხვარეთა საყურადღებოდ.

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას

## „მწყემსს“

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა ე. ი. 10 პროც.

2) მეცხვარეს—ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხნახევარი მეათედესე იგი 45 პროც.

3) სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი ესე იგი 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებულ იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებულ იქნება საზღვარ გარეთის ბაზარზე.

926 10—5 **მომარაგების სამინისტრო.**

## განცხადება

1 ოქტომბერს, დაიწყო მოქმედება ტფილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობისაიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ

### მომხმარებელ კოოპერატივებს

და სადაც ამნაირები არ არიან—იქ **თემებს და სხ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენათ უნდა მიმართონ

### მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებათ.

**შენიშვნა:** რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

### მატყლის ყიდვა-გაყიდვა კერძო პირთაგან

## აკრძალულია

სახელმწიფოს საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

**ა) საშუალო ღირსების გაურეცხავი მატყლი 4000 მ.**

**ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4500 მ.**

**კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები**

**ვალდებულნი არიან ადგილობრივ გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე: გადატანის ხარჯისა და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

**შენიშვნა:** სართავ საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

926 10—5 **მომარაგების სამინისტრო.**

## სახელმწიფო ოპერა

**14 ოქტომბერს 1920 წ.**

### გოფმანის ზღაპრები

მონაწილეობენ: ბოიარსკაია, ერმოლინსკაია, ოსიანიკოვა, ზალიპსკი, საბინინი, დემიანენკო, კურბატოვი, ქურხული, ერზოვი, გურკსი და ორლოვი.

**15 ოქტომ. 1920 წ.**

### ბალეტის საღამო ზორდკინისა

**16 ოქტომბერს** ოპერ. მუშებისათვის

### აბესალომ და ეთერი

**17 ოქტომბერს**

### ფაუსტი და ვალპურგიის ღამე

**წარმოდგენის დროს შესვლა დარბაზში აკრძალულია.**

919 1—1 ოპერის დირექტორი **ს. ი. ევლახიშვილი.**

## სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8.07)

**სეზონი 1920—1921 წლისა**

### პარასკევს, 15 ოქტომბერს.

პიესა 3 მოქმედებათ **გუშინდელნი** შალვა დადიანისა

შემსრულებელნი: ვასილ აბაშიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასილ არაბიძე, სუზანა ბექანიშვილი, მიხეილ გელოვანი, აკაკი ვასაძე, იუზა ზარდალიშვილი, მიხეილ ლორთქიფანიძე, ანდრია მურუსიძე, მიხეილ სარაული, პავლე ფრანგიშვილი, ან. ქიქოძე, ოლიმპიადა ღოღობერიძე, ელენე ციმაკურიძე, ნინო ჩხეიძე, მიხეილ ჭიაურელი.

**დასაწყისი სხლ. 8 საათზე.** **რეჟისორი მ. ქორელი.**

ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის.

**მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია**

**ანონსი:** შაბათს, ოქტომბრის 15 ს „**გუშინდელნი**“ | კვირას, ოქტომბრის 17-ს „**ედიპე მეფე**“

936 2—2

## ტფილისის საბაჟო ამით აცხადებს,

რომ ამა წლის 22 ოქტომბერს საბაჟოს ეზოში

### საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

ჩამორთმეული საქონლები: დამუშავებული თამბაქო, კაუსტიკური სოდა, ფართლეულობა და სხვა.

934 3—3

## ფოთის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ ფოთის მეორე უბნის სამომრიგებლო უბნისათვის საჭიროა

### მომრიგებელი მოსამართლე

ვისაც სურს ეს ადგილი მიიღონ შეუძლია თავიანთი განცხადება საჭირო საბუთებით გადმოგზავნოს ფოთის ქალაქის გამგეობაში. სავალდებულოა სახელმწიფო ენის ცოდნა.

938 3—2

## შ. ს. ს. ჯანმრთელობის დეპარტამენტმა დაამტკიცა და გამოსცა ახალი სააფთიაქო ნიხრი,

რომელიც ძალაში შედის ამა წლის 16 ოქტომბრიდან. რესპუბლიკის ყველა აფთიაქების მმართველებს ევალებათ შეიძინონ ის დაუყონებლივ ჯანმრთელობის დეპარტამენტის საფარმაციო განყოფილებიდან.

939 1—1 ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორი **ს. ჯაფარიძე.**

**ოფიციალური განყოფილება.**

## განკარგულებანი

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.**

8 ოქტომბერი, 1920 წ. № 286

**განთავისუფლებულ იქმნას:** სრულიად სამსახურიდან თანახმად მისი თხოვნისა სავაჭრო განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწე მარიამ ივანე აბაშიძის ასული ამა 1920 წ. 1 ნოემბრიდან.

№ 287.

**დანიშნულ იქმნას:** აქციზის სამმართველოს ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ, იმავე სამმართველოს საქმის მწარმოებლის თანაშემწე სიმონ ელეფთერის ძე აბესაძე ამა წლის ოქტომბრის 1-დან.

9 ოქტომბერი, 1920 წ., № 288.

**დაინიშნოს:** სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორად ნიკოლოზ ბიქტორის ძე ქლენტი ამა წლის ოქტომბრის 1-დან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი
**ს. ავალიანი.**

**ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამართველოს უფროსისა.**

1 აპრილიდან, 1920 წ., № 18.

**დანიშნულნი არიან:** ყოფილი ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის საგანგებო მინ-

დობილების მოხელე ივანე ომანიძე, ბუჰჰალტერი ალექსანდრე წერეთელი, მისი თანაშემწენი: სერაპიონ ხოხიაშვილი და სტეფანე ათაბეკოვი; საქმის მწარმოებლის თანაშემწენი: დოსითეი გაჩეჩილაძე, ლონგინოზ ცაგარეიშვილი, კონსტანტინე შოთაძე და ტფილისის ფოსტის კანტორის მეორე ხარისხის მოხელე ილარიონ ლემანჯავა, მოანგარიშე მოხელენი: ელენე წერეთლისა და თამარ ჩერქეზიშვილი, კანცელარიის მწერლები: ოლღა გრიგორიევისა, აგრაფინა ვაშაძისა, თამარ ხოჯაშვილისა, სოფიო ვოინოვისა, პელაგია სინაურიძისა, მარიამ პეცევიჩისა, ნინა ფანცხავასი, მარიამ გუდიაშვილისა, მარიამ მიშელაძისა, ნინო სესიკელაშვილისა, ფრანცისკა მიხაილოვისა და ზინაიდა პაცევიჩისა; უფროსი მექანიკოსები: ვიტალი მედნიკოვი და ვასილ გვრიტიშვილი, უმცროსი მექანიკოსის თანამდებობის ამსრულებელი მაღალი ჯამაგირისა ივანე კოლელოვი: ომანიძე სამმართველოს საინპექტორო განყოფილების გამგის თანამდებობის ამსრულებლათ, წერეთელი საანგარიშო განყოფილების გამგის თანამდებობის ამსრულებლათ, გაჩეჩილაძე საერთო განყოფილების გამგის თანამდებობის ამსრულებლათ, ხოხიაშვილი, ათაბეგოვი, შოთაძე, ცაგარეიშვილი და ლემანჯავა ამავე სამმართველოს პირველი ხარისხის მოხელეებათ, ელენე წერეთლისა და თამარა ჩერქეზიშვილისა ამავე სამმართველოს მოანგარიშე მოხელეებათ, ოლღა გრიგორიევისა, აგრაფინა ვაშაძისა, თამარა ხოჯაევისა, სოფიო ვოინოვისა, პელაგია სინაურიძისა, მარიამ პეცევიჩისა, ნინო ფანცხავასი, მარიამ გუდიაშვილისა, მარიამ მიშელაძისა, ნინო სესიკელაშვილისა, ფრანცისკა მიხაილოვისა, ზინაიდა პაცევიჩისა სამმართველოს კანცელარიის მოხელეებათ; მექანიკოსები: ვიტალი მენდიკოვი და ვასილ გვრიტიშვილი ამავე სამმართველოს უფროს მექანიკოსებათ და უმცროსი მექანიკოსის თანამდებობის ამსრულებელი ივანე კოლელოვი ამავე სამმართველოს უმცროსი მექანიკოსის თანამდებობის ამსრულებლათ მაღალი ჯამაგირით, ყველანი 1920 წლის იანვრის პირველიდან, ხოლო ლემანჯავა ამავე წლის მარტის პირველიდან.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება.

## უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

### შიშიანობა პრუსიაში.

«ტანი» ბეჭდავს კენიგსბერგიდან მიღებულ კორესპონდენციას აღმოსავლეთ პრუსიაში არსებულ შიშიანობის შესახებ. შიშიანობას ის გარემოება იწვევს, რომ წითელი არმიელები გაიქცენ საკონცენტრაციო ბანაკიდან და ყაჩაღთა ბანდა შეადგინეს. იმავე გაზეთის ცნობით საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ბერლინში ვიქტორ კოპმა გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს პროტესტი განუცხადა საზღვარზე გადასულ რუს ჯარის კაცთა განიარაღებისათვის.

### სევასტოპოლში.

ვაჭრობა-მრეწველობაში დიდ რეფორმებს ახდენენ. აუქმებენ ვაჭრობა-მრეწველობის რწმუნებულთა განყოფილებას. ამის მაგივრად დაარსდა სასურსათო და სავაჭრო საქმეთა სამმართველო.

### შთაბეჭდილება პეტროგრადის შესახებ

„ავანტი“ ბეჭდავს თავის რედაქტორის სერატის შთაბეჭდილებას პეტერბურგის შესახებ. სერატი სწერს: პეტროგრადში ცხოვრება მოდუნებულია, ქუჩებში ბალახია, პუტილოვის დიდი ქარხნები სასაფლაოს მოგაგონებს. მუშათა შორის გავრცელებულია მაჰმადიანური ფატალიზმი, ყველაფერი თავის თავად გაკეთდებაო. „სეკოლი“ ამ ცნობებს იმასაც დასძენს, რომ მცხოვრებთა რიცხვმა ორი მესამედით იკლოო. არაა არც ერთი რესტორანი არც ერთი კაფე. არსებობს მხოლოდ 300 სახალხო სამზარეულო. ქუჩები ცარიელია. მიუხედავად საშინელი გაჭირვებისა პეტროგრადში ახალმა მდიდრებმა იჩინეს თავი სპეკულიანტებიდან და საბჭოთა მოსამსახურეთა წრისაგან.

### „კურურ-კორნის“ ცნობა.

„კურიურ-კორნი“ იუწყება: მიღებულია სარწმუნო ცნობები, რომ ბოლშევიკები ემზადებიან საერთაშორისო წითელ არმიის შესადგენათო. იმავე გაზეთის ცნობით საბჭოთა მთავრობა რუსეთში მცხოვრებ ინგლისელებს რეპრესიებით ემუქრება, თუ ინგლისი ფინლიანდიას გადასცემს ხუერტ'ს, რომელსაც სიკვდილით დასჯა აქვს მისჯილი. ხუერტი უკანასკნელ ხანებში განაგებდა ბოლშევიკთა ბიუროს ნიუ-იორკში.

### რეაქციონური პოლიტიკა.

ქალაქის უკანასკნელ არჩევნებში სოციალისტები გამოვიდენ მათ შორის უმეტესობა დამოუკიდებლებს იკუთვნის. ბურჟუაზია ამ შედეგებით შეშინებულია და ხელახალი არჩევნები მოაწყო. მუშები მზათ არიან რეაქციონური პოლიტიკის გამო პროტესტი განაცხადონ.

### ებრაელთა დარბევა.

ბუდაპეშტში ებრაელთა დარბევა მოხდა. ებრაელთა დუქნები და სახლები დაარბიეს. დაჭრილია 158 კაცი.

### ვრანგელის მოთხოვნა.

ვრანგელის წარმომადგენელი ბარონი მახროვი ვარშავაში წავიდა. ფიქრობენ, რომ მისი პოლონეთთან მოლაპარაკება უშედეგოთ ჩატარდაო. სტრუვემ პარიზში განაცხადა, რომ ვრანგელი მოითხოვს პოლონეთისაგან საბჭოთა რუსეთთან ბრძოლის გაგრძელებას, და მზათ არის მას ამაში ტერიტორიალური კომპენსაციები მისცესო.

### საფრანგეთის ესკადრა.

ფრანგული გაზეთები უარყოფენ ცნობას, თითქოს ხმელთა შუა ზღვაში საფრანგეთის ესკადრა ოდესაში შესასვლელად ემზადებოდეს.

### ზავის პირობები.

გაზ. სენდე—„ტაიმს“-მა (ფინანსისტების ორგანო) დაბეჭდა წერილი, რომ ზავი საბჭოთა რუსეთთან უნდა დაიდოს შემდეგ პირობებშიო: რუსეთმა უნდა აღიაროს: ყველა ვალი ომამდე აღებული, სამხედრო ვალის ზოგი ნაწილი და ანტი ბრიტანეთის პროპაგანდის შეწყვეტა. გაზეთი მოითხოვს ზავის დაუყონებლივ შეკვრას, რათა ინგლისმა სავაჭრო დამოკიდებულება აღადგინოს საბჭოთა რუსეთთან.

(გაზეთებიდან.)

### პილსუდსკის მოწოდება.

მარშალმა პილსუდსკიმ პოლონეთის მცხოვრებლებს მოწოდებით მიჰმართა. მოგვყავს შემოკლებით პილსუდსკის შემდეგი სიტყვები: „პოლონეთის მოქალაქენო! ჩვენი გულადი ჯარები ხელახლად უახლოვდებიან რუსეთის საზღვრებს. ჩვენი მტერი უკან იწევს. მინისტრთა საბჭოს დავალებით მე გიცხადებთ, რომ რუსეთ-პოლონეთის ძველი სადავო საკითხები უნდა დავიწყებულ იქმნას. ჩვენ გვწამს, რომ რუსეთი მოგვცემს გარანტიას რომ პოლონეთის დამოუკიდებლობა დაცული იქნება. პოლონეთი ვერ შეურიგდება წითელ არმიელთა საქციელს. ბოლშევიკების პოლიტიკა სახიფათოა არა მარტო მის მახლობელ მეზობელთათვის, არამედ მთელ კულტურულ ქვეყნისთვისაც“.

### არეულობა მესოპოტამიაში.

ამერიკული გაზეთები იტყობინებიან, რომ მესოპოტამიაში დიდ არეულობას აქვს ადგილი. დიდ შევიწროებას აყენებენ ინგლისელებს. არაბეთის სხვა და სხვა ტომის ხალხი აღელვებული ერთი კუთხიდან მეორე კუთხეს აწყდება. საქმე გართულებულია ბაკუბაში. ინგლისელები გავიდენ ჩიტიდან. ხილის ახლო არაბების პარტიზანებს შეტაკება მოუხდათ ინგლისის ჯარის ნაწილებთან, არაბეთის ამბოხება გამოწვეულია მით რომ ინგლისმა არაბეთი დაყო სამ ნაწილად, მაგალითად გეჯასმა სრული დამოუკიდებლობა მიიღო, ხოლო მესოპოტამია ისევ ინგლისის პროტექტორიატის ქვეშ ლაფავს სულს. ბაღდადისკენ გზა სრულიად გაფუჭებულია. მიმოსვლა გაძნელებულია და ეს მდგომარეობას თან და თან უფრო ართულებს.

### ჯემალ ფაშა ავღანში.

ოსმალეთის ყოფილი მინისტრი და მთავარ სარდალი ჯემალ-ფაშა ტაშკენტიდან ქაბულში (ავღანში) წასულა. ჯემალ ფაშას როგორც საიდუმლო აგენტები ლაპარაკობენ კავშირი ჰქონია ბოლშევიკებთან. მას მიწერ-მოწერა ჰქონია მოსკოვის მთავრობასთან.

## სომხეთში

— ოქტომბრის 9-ს საფრანგეთის წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა კობელმა ინახულა სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი.

ოქტომბრის 12 სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ინახულა დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი პოლ. სოკსი.

— ოქტომბრის 12 სტამბოლიდან ბათომს მოვიდა სომხეთის მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული ა. ი. ხატისოვი.

## საბჭოთა რუსეთში

(რუსეთის დეპეშათა სააგენტო).

### ტაქტიკური ცენტრი.

„პრავდა“ (№ 184) აქვეყნებს დადგენილებას ეგრედ წოდებულ ტაქტიკურ ცენტრის საქმის შესახებ. უკანასკნელ სხდომაზე მოწმეთ გამოვიდა ტროცკი, რომელიც თავის ჩვენებაში ამტკიცებდა, რომ ერთ ერთმა ბრალდებულთაგანმა მურავიოვმა გენერალურ შტაბის ყოფილმა ოფიცერმა, რეაქციონერმა და კონტრ-ევოლიუციონერმა რწმენით გადასწყვიტა სინდისიერად ემსახურა საბჭოთა მთავრობასთანო. ტროცკის შემდეგ გამოვიდა ბრალმდებელი კრილენკო, რომელმაც აღნიშნა, რომ „ტაქტიკური ცენტრალურ საბჭოთა წინააღმდეგ მიმართულ ფრონტს ქმნიდაო“. კრილენკომ ბრალდებულ მურავიოვისა, ურუსოვისა, კონდრატიოვისა, ფელდშტეინისა და ხრუშჩოვის გამართლება მოითხოვა. მალეკინის, კაშკინის, ტოპარკოვის, მურალევიჩის და კარტეროვის შესახებ კი კრილენკო იმ აზრის იყო, რომ ვინაიდან ისინი საბჭოთა მთავრობისათვის საშიშ ელემენტებს წარმოადგენენ, ამიტომ ისინი ვრანგელის ფრონტის მოსპობამდე კონცენტრაციულ ბარაკებში უნდა იქნენ მოთავსებულნიო. მეგლუნოვის, ლეონტიევის, პროფ. შჩეპკინის და ტრუბეცკოის შესახებ კრილენკო დახვრეტას მოითხოვდა. იმ პირთა შესახებ კი რომლებიც ბრალდებულთა სიაში იყვნენ მოხვედრილი, მაგრამ ამ ჟამად რუსეთში არ იმყოფებიან კრილენკო საბჭოთა რუსეთიდან სამუდამოდ გაძევებას მოითხოვდა. ასეთ პირებს ეკუთვნიან: ასტროვი, მიაკოტინი, ჩაიკოვსკი, გერშელმანი, ტიხომიროვი, სტროგოვი, ფედოროვი, სტრუვე, გურკო, კრივოშეინი, ოზაროვიჩი და ტიტოვი. დასასრულ კრილენკომ აღნიშნა, რომ ამ პროცესში გარეული არის რუსეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ოდესღაც ხალხთა უფლებიანობის ლოზუნგებით გამოდიოდენ, ეხლა კი შავ გენერლების მოკავშირენი გახდენო. უფრო გამოჩენილ პირთა შესახებ კრილენკომ ის აზრი გამოსთქვა, რომ მათი დახვრეტა რუსეთიდან გაძევებით უნდა შეიცვალოსო. ეს უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ რევოლიუციონური ტრიბუნალი აღიარებს, რომ ამ პირებს საზღვარგარეთ საბჭოთა რუსეთისათვის არავითარ ზიანის მიყენება აღარ შეეძლებათ. კრილენკოს სიტყვის შემდეგ გამოტანილ იქნა დადგენილება, რომლის ძალით ყველა ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი და დახვრეტა მიუსაჯეს. მაგრამ შჩეპკინს, ლეონტიევს, მგელუნოვს და ტრუბეცკოის თანახმად პირველ მაისის ამნისტიისა დახვრეტა ათი წლის იძულებითი სამუშაოთი შეუცვალეს. დანარჩენებს კი სამოქალაქო ომის დასრულებამდე ბარაკებში დამწყვდევა მიუსაჯეს. ზოგიერთი ბრალდებული კი და მათ შორის მურავიოვი და ურუსოვი სრულიად გაანთავისუფლეს.

### სამხედრო ცნობა.

მინსკის დასავლეთით რაკოვ-კოიდანოვის რაიონში ბრძოლა ცვალებადია. სლუცკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ რამდენიმე სოფელი ავიღეთ. ჟიტომირის რაიონში ჩვენ მტერი დაბა პულინიდან გამოვდევნეთ. პროსკუროვის მიმართულებით ნოვოკონსტანტინოვკასთან ჩვენზე მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ უკუვაგდეთ. ნოვო-უშიცის რაიონში ჩვენი შეტევა სასურველად ვითარდება, ჩვენ დაბა ფამუსოვი და ვერბოვეცი ავიღეთ. ალექსანდროვის რაიონში დნეპრის მარჯვენა ნაპირზე მტერმა შემოგვიტია ჩრდილოეთის მიმართულებით და ალექსანდროვსკის ჩრდილოეთ-დასავლეთით 20 ვერ. სოფლები დაიჭირა, მაგრამ ჩვენ კონტრ-იერიშით დავამარცხეთ. მტერი დიდის ზარალით სამხრეთის მიმართულებით უკან იხევს. ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვები და მარკოვსკის დივიზიის ორი როტა გავანადგურეთ. ორეხოვის რაიონში ჩვენი ჯარი ქალ. ორეხოვის აღმოსავლეთით 12 ვერსზე იბრძვის პოდოლი-ბერდიანსკის რკ. გზ. რაიონში. სადგ. პოლოგის ხელში ჩასაგდებათ ბრძოლა სწარმოებს. ვერხნე-ტოკმაკის რაიონში ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი აიღო და შეტევას განაგრძობს.

### ყირიმში.

ჩვენი შინაური კონტრ-რევოლიუციის უკანასკნელი ბუდე ვრანგელი რუსეთის მუშათა და გლეხთა მშვიდობიანობის საქმეს ხელს უშლის, წითელი ჯარი გაანთავისუფლებს ყირიმს. გაანთავისუფლეთ ყირიმი. საბჭოთა რუსეთისა და პოლონეთის მოლაპარაკება თეთრ გვარდიელებს აშინებს. ვრანგელის მთავრობის წარმომადგენელმა პეტრე სტრუვემ პარიზში განაცხადა, რომ თუ პოლონეთმა დროებით ზავს ხელი მოაწერა ვრანგელი დამარცხდებაო.

ვრანგელი საფრანგეთში გზავნის პურს, მზათ არის პოლონეთსაც დაუთმოს, მზათ არის ხელში ჩაგდებული ოლქები გაყიდოს, ოღონდ კი ძალა-უფლება შეინარჩუნოს. მაგრამ როგორც სჩანს პოლონეთს ვრანგელისათვის არა სცალია. ომის გამო უკმაყოფილო ხალხი აიძულებს პოლონეთს შეკრას ზავი. მართალია, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მოულოდნელობისათვის, როგორც ეს ყოველთვის ხდება, როდესაც საქმე ბურჟუაზიულ მთავრობასთან გაქვს. ზავისაკენ გზა მით უფრო ადვილია, რამდენათაც ჩვენს წითელი ჯარი უზრუნველყოფილი იქნება ყოველივე საჭიროებით. წითელმა ჯარმა დაამტკიცოს უნდა, რომ ვრანგელის დღე დათვლილია. საბჭოთა მრეწველობამ თავის განსავითარებლად უნდა აღადგინოს დონეცი და სამხრეთის მრეწველობა. ეს შესაძლებელია მხოლოდ ვრანგელის ბრბოების დამარცხების შემდეგ. რუსეთის დამშეულ ხალხს ესაჭიროება ყუბანის პური. საბჭოთა რუსეთს სჭირია მუდმივი ზავი. ამის მისაღწევათ უნდა დავამარცხოთ ვრანგელი.

ყაზანში თათართა სახალ. კომ. საბჭოს თავმჯდომარეს საიდ გალიევს თავს დაესხენ. ის დაიბარეს ვითომდა სხდომაზე, და როდესაც სახლიდან გამოვიდა უკანიდან მას ესროლეს. ამხ. გალიევი ხელშია დაჭრილი მსუბუქათ.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

### გერმანული პრესა.

### გაზეთების გაფიცვა.

როგორც სჩანს ბერლინის გაზეთების გაფიცვა არც ისე ადრე დასრულდება, ვინაიდან ამ ჟამად არავითარი მოლაპარაკება არ სწარმოებს. კომუნისტური „როტე ფრანაე“ სწერს რომ ახლანდელი ბრძოლა კაპიტალის ბატონობისათვის სწარმოებს და ვინაიდან კაპიტალისტურ გაზეთებში პროლეტარიატი მუშაობს სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ პროლეტარიატი ააწყობს და დაბეჭდავს იმ გაზეთს, რომელიც ტალახს ესვრის პროლეტარიატის ბრძოლას და ლანძღავს მას კაპიტალისტურ უღლისგან განთავისუფლების სურვილებისათვის.

### დიდი მიტინგი.

გუშინ ბერლინში შესდგა დამოუკიდებელ სოციალისტების დიდი მიტინგი, რომელიც პრუსიის სეიმის რეაქციონურ ნაბიჯის წინააღმდეგ იყო მიმართული. მიტინგმა მუნიციპალურ მოსამსახურეების თავის ადგილზე დატოვება მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამბობდენ ზოგიერთი ორატორები დადგება დრო, როდესაც ხალხი აღარ გაუწევს ანგარიშს პარლამენტარულ ბრძოლას და თვით დაიწყებს მოქმედებას.

### ტეხნიკური კონფერენცია.

დელაკრუამ შემოიტანა წინადადება რომ ბრიუსელში მოწვეულ იქმნას ტეხნიკურ კონფერენცია იქვე შესდგება გერმანელთა მონაწილეობით ზარალის მნაზღაურებელ კომისიის სხდომა. დაინტერესებულ სახელმწიფოების ფინანსთა მინისტრებიც ამ დროისათვის ბრიუსელში იქნებიან. „მეტანი“ აღნიშნავს რომ ეს წინადადება საფრანგეთის წინადადებისაგან ძალიან მცირედით განსხვავდებაო.

### ვილნოს დაცლა.

ვარშავიდან იუწყებიან, რომ გენერალ ზელიგოვის ჯარმა უარი განაცხადა ვილნოს დაცლაზე.

### „მატენის“ ცნობა.

„მატენის“ ცნობით გენერალმა ბუდიონნიმ ბანაკი გამოიცვალა და ჯგუფს აწყობს ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ.

### ლონდონის ცნობები.

### დელაკრუა და ლოიდ ჯორჯი.

დელაკრუას მოლაპარაკება ჰქონდა ლოიდ ჯორჯთან, რომელსაც დაესწრო ლონდონის მთავრობასთან მყოფი ბელგიის ელჩი და ბრიუსელის მთავრობასთან მყოფი ინგლისის ელჩი.

### იტალიის სოციალისტები ბოლშევიკების შესახებ.

საფრანგეთის პრესის ცნობით იტალიის ზომიერ სოციალისტთა კონგრესზე რეტიოში დეპუტატებმა აღნიშნეს: უაზრობა იტალიის ხალხის ცდის ბოლშევიზმის განხორციელების საქმეში. დუგონმა აღნიშნა, რომ თუ რევოლიუცია მოხდა ეკონომიური მდგო-

მარეობა კიდევ უფრო გართულდება და შემდეგ იტალიის არმიიდან დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდესო. ორატორები უარჰყოფდენ. ბალშევიზმის და მე-3 ინტერნაციონალთან შეერთებას.

**ფრანგი ფილოსოფოსი დეკარტი.**

ოქტომბრის 11, ამსტერდამის იმ სახლს, სადაც ოდესღაც სცხოვრობდა ფრანგი ფილოსოფოსი დეკარტი ააკრეს ფიცარი დეკარტის ხსოვნის პატივსაცემლად. ამ საქმეში მონაწილეობა მიიღო ამსტერდამის უნივერსიტეტმაც.

ვარშავიდან იუწყებიან, რომ ორშაბათს, ფრანგ ოფიცრებს, რომელთა რიცხვში იყვენ გენერლები დიურონი და (გამოტოვებულია) დიდი ამბით გადასცეს პოლონეთის ორდენები.

**პოლონეთში.**

პოლონელებმა ვილნო დაიჭირეს. მიუხედავათ იმისა, რომ პოლონეთსა და ლიტვის შორის საზავო შეთანხმება მოხდა, პოლონელებმა ლიტვის სატახტო ქალაქი ვილნო აიღეს. ვრანგელი საფრანგეთის დახმარებას რუსეთის პურის ფასით ყიდულობს. გატანილს გარდა ვრანგელს კიდევ 5 მილ. ფუთი ხორბალი მოუგროვებია გასატანად. ლატვიის მთავრობამ მექრთამეობისთვის და ქურდობისთვის 258 მოხელე დაითხოვა, მათ რიცხვში რამდენიმე თვალსაჩინო პირია. არის მინისტრთა ამხანაგები. ინგლისელები, მიუხედავად განცხადებისა, მაინც განაგრძობენ ვრანგელის დახმარებას და სევასტოპოლში სამხედრო იარაღის ზიდვას. ინგლისის ინდოეთში რკინის გზელთა გაფიცვები დაიწყო. პურის სიმცირის გამო ლოძში გაფიცვები დაიწყო. მუშები მოითხოვენ პურს.

**რიგაში.**

რიგაში ლიტვის მისიამ პოლონელების მიერ ვილნოს აღების შესახებ ოფიციალურად ცნობა მიიღო. ვილნოსთან იმყოფება ლიტვის თეთრგვარდიელთა დივიზია ივაშკევიჩის მეთაურობით. ეს დივიზია ვილნაში შესვლას ფიქრობს, პოლონეთის მთავრობა განმარტებას იძლევა რომ ვილნოზე შეტევა მისი განკარგულებით არ ყოფილაო. მაგრამ როგორც სჩანს არ უნდა დაიცვას თავის უფლება ლიტვის სატახტო ქალაქზე.

**გაფიცვები.**

გაფიცვების გამო ინდოეთში რკ. გზებზე მიმოსვლა შეჩერებულია. კალკუტა-სიბნელით არის მოცული. ბომბაში გაფიცულა 1500 მუშა ელექტრ. სადგური და სხვა.

# ახალი ამბები

**დე-ბრიუკერი ერობათა კავშირში.** ოქტომბრის 12, ერობათა კავშირის კომიტეტი ინახულა პროფ. დე-ბრიუკერმა. კომიტეტის წევრთა შეერთებულ სხდომაზე დე-ბრიუკერი არკვევდა ერობის თვითმართველობის თვისებებს რესპუბლიკაში.

**ჯამაგირების თავის დროზე დარიგება.** შრომის სამინისტრომ ფოსტა-ტელეგრაფის გამგის წინადადებით მიმართა ჯამაგირების თავის დროზე დარიგების შესახებ. თხოვნა გამოწვეულია მოსამსახურეთა განცხადებით, რომელთა ჯერ აგვისტოს დამატებაც კი არ მიუღიათ. შრომის სამინისტრო აღნიშნავს, რომ ჯამაგირის დროზე მიუცემლობა მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობაზე ცუდ გავლენას ახდენსო.

**ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.** სოფელ ალპანაში (ლეჩხუმის მაზრა) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

**ახალი სააფთიაქო ნიხრი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დეპარტამენტი აცხადებს, რომ მის მიერ დამტკიცებულია ახალი სააფთიაქო ნიხრი. რომელიც ოქტომბრის 15-დან შევა ძალაში. აფთიაქების გამგენი ვალდებულნი არიან დაუყონებლივ შეიძინონ სააფთიაქო ნიხრი. ნიხრის შეძენა შეიძლება ჯანმრთელობის დეპარტამენტში.

**მუშათა მაგიდის განცხადება:** მუშათა მაგიდა აცხადებს ამით იმ პირთა სიას, რომლებიც ხელოვნურად გადიდებულ პურის რაციონს იღებდენ. ე. ჭიაურელი, ტ. მ. მებურიშვილი, შალვა მამალაძე, ზეზო ჭანიშვილი, ქეთო წივწივაძე, ელენე ასათიანი, ვახტანგ გარაყანიძე, შალვა გიორგაძე, პავლე კურპატოვი, ნინა გიორგაძე, მიტელ-მაერი, ნატალია ალავიძე, რობერტ ანდრიასონი, ვალერიან ზდაევიჩი, ნინა მეჩერიკოვა, ქეთევან ყანჩაველი, მარიამ ჭრელაშვილი, ვალერიან გაგნიძე, ბორის ბერიძე, მელანია წერეთელი, ზემოაღნიშნულ პირთ პური აღარ მიეცემათ ისინი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი. დამატებითი სია ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული.

**ცეცხლის მქრობელი რაზმი.** ტფილისის ბრანდმეისტერმა სამხედრო სამინისტრო-სატეხნიკო კომისიას წარმოუდგინა არსენალის რაიონში ცეცხლის მქრობელ რაზმის მოწყობის გეგმა.

**ხოლოდაკის გვირაბი.** ქალაქის გამგეობა იუწყება რომ ოქტომბრის 15 დაიხურება ხოლოლაკის გვირაბი დიდი ხარჯების გამო.

**საბაჟო ტარიფი.** სავაჭრო სამრეწველო პალატის კომიტეტმა შემოსატან და გასატან საქონელზე არსებულ საბაჟო გადასახადის გადასასინჯად საგანგებო კომისია აირჩია. ამ კომისიამ უნდა განიხილოს აგრეთვე სია იმ საქონელთა, რომელთა შემოტანაც რესპუბლიკაში აკრძალული არის.

**ესტონეთის კონსული საქართველოში.** ამ დღეებში ტფილისში საბჭოთა რუსეთიდან ჩამოვიდა ესტონეთის რესპუბლიკის კონსული ი. ი. კირკმანი, რომელმაც ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრი და გადასცა თავისი რწმუნებულება.

**შ. ნაგან საქმეთა მინისტრის ჩამოსვლა.** ოქტომბრის 12 ტფილისში დაბრუნდა და იმავე დღესვე შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი.

**შესწორება.** სავალიუტო ოპერაციების შესახებ ბრძანებაში სწერია: სავალიუტო ოპერაციების უფლება აქვს საურთიერთო კრედიტის ბანკს, უნდა იყოს: საერთაშორისო ბანკის ტფილისის განყოფილებას.

# სატარიფო პალატაში

სატარიფო პალატამ ოქტომბრის 11 სხდომაზე დაადგინა: 1) დაამტკიცოს კვლავ ძველი დადგენილება ჯამაგირების უკანა რიცხვით მომატების აკრძალვის შესახებ, 2) თუ დაწესებული ტარიფი განსაჩივრებულ იქნა, მაშინ ორივე მხარეს ეცნობა ახალი ტარიფი. 3) დაწესებულ ტარიფის შესწორება შედის ძალაში იმ დღიდან, რა დღესაც სატარიფო პალატა აცნობებს ამას უკმაყოფილების გამომცხადებელთ. ამის გამო ჭიათურის მაღაროებში მომუშავეთა მუშების შესწორებული ტარიფი შედის ძალაში არა აგვისტოს 1-დან, როგორც მუშები მოითხოვენ, არამედ აგვისტოს უკანასკნელ რიცხვიდან. ამავე სხდომაზე სატარიფო პალატამ დაამტკიცა მუშათა მაგიდის დადგენილება მომარაგების ფონდში ყოველ მუშაზე და მოსამსახურეზე დამატებითი 3000 მანეთის შეტანის შესახებ. შემდეგ გამოთქვა სურვილი მუშათა მაგიდის თვიური დეფიციტის გამორკვევის შესახებ. დასასრულ დადგენილ იქნა მექისეთა ტარიფი.

# კოოპერაცია საქართველოში

(საუბარი ბ-ნ ევ. დარჩიასთან).

ჩვენი გაზეთის თანამშრომელი სპეციალურად ესაუბრა საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის თავმჯდომარე ბ-ნ ევ. დარჩიას, რომელიც ამ ზაფხულს დაბრუნდა ევროპიდან.

უწინარეს ყოვლისა, სთქვა ბ-ნმა დარჩიამ, მე უნდა მოგახსენოთ, კოოპერატიული მოძრაობა საქართველოში დღითი დღე იზრდება. ამის მოთხოვნილება ცხოვრებაში არის. კოოპერაციის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება ჩვენში მოაღონიერებს და გააძლიერებს ეკონომიას. მაგრამ სამწუხაროდ ჯერ ჩვენში კოოპერაცია კიდევ ვერ არის ჯეროვანად ფეხმოდგმული. საზღვარგარეთის კოოპერაციასთან შედარებით ჩვენში კოოპერაცია უმნიშვნელოა. აღსანიშნავია განსაკუთრებით ინგლისი, სადაც კოოპერაცია უმაღლეს სიმაღლემდეა განვითარებული. აქ თქვენ ნახავთ უდიდეს კოოპერატიულ ქარხნებს. ყოველ კოოპერატივებს თავისი საკუთარი ქარხანა აქვს, საკუთარი წარმოება და ყოველ ქვეყანასთან ეკონომიურ ურთიერთ კავშირი. აღსანიშნავია ბელგიაც. აქაც კოოპერაცია სათანადოთ არის დაყენებული. რაც შეეხება საფრანგეთ-იტალიას— აქ კი კოოპერაცია ჩამორჩენილია.

შეკითხვაზე, თუ ჩვენი ცენტრალურ კოოპერატ. კავშირს, აქვს რაიმე კავშირი საზღვარ-გარეთის კოოპერაციასთან ბ-ნმა დარჩიამ შემდეგი სთქვა:

მე, ლონდონში ყოფნის დროს შევეცადე, რომ მჭიდრო კავშირი დამყარებია ინგლისის კოოპერაციასთან. ინგლისი საერთოდ მოხარულია, რომ ჩვენი კოოპერაცია დაუკავშირდეს ინგლისის კოოპერაციას, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დამოკიდებულება ამ ორ ქვეყნის შორის ჩვენი ეკონომიურ ცხოვრების მოუწყობლობის გამო ძნელ საქმეს წარმოადგენს. ჯერ ერთი მით, რომ ჩვენი ვალიუტა საერთაშორისო ბაზარზე არ არის ცნობილი, და ვიდრე ეს გარემოება არ გამოკეთდება და ვალიუტის საქმე არ მოწესრიგდება, მანამ მეტად ძნელი იქნება რომელიმე უცხო ქვეყნის კოოპერაციის ორგანიზაციებთან მჭიდროთ დაკავშირება.

საზღვარ გარეთის კოოპერაცია არა კითხულობს თუ ჩვენში როგორი ეკონომიური ცხოვრებაა. საქონელი რომ წამოვიღოთ, საჭიროა სამაგიეროს მიზღვა. ეს კი ჩვენ არ შეგვიძლიან. ჩვენ ბაზარზე. ჯერ ერთი არ იშოვება საჭირო საქონელი და მეორე კი— სპეკულიაციას უჭირავს ყოველივე ხელში. მართალია ჩვენ შეგვეძლო და შეგვიძლიან კიდეც თამბაქოს გატანა, მაგრამ ეს გადატანა ჯერ-ჯერობით რიგიანად ვერ მოვახერხეთ. ამსტერდამში, გავგზავნეთ რამოდენიმე ათასი ფუთი თამბაქო, მაგრამ ჯერ ეს საქონელი არ გასაღებულა. ჩვენში არის კიდევ ჯაგარი, ჯაგარს დიდი გასავალი აქვს საერთაშორისო ბაზარზე. ჩვენში არ აფასებენ. საზღვარ-გარეთ კი მას დიდ ფასს სდებენ.

ჩვენ ბევრს ვსცდილობთ, რომ ყოველგვარი დაბრკოლება ვსძლიოთ და ის რაც ჩვენში მოიპოვება გადავიტანოთ საერთაშორისო ბაზარზე.

განსაკუთრებული დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ძირიანფესვიანად აღმოიფხვრას სპეკულიაცია. ხალხის ქონება, ხალხის სიმდიდრე არ უნდა იყოს სპეკულიანტების ხელში. სპეკულიაციასაც რომ ბოლო მოეღოთ— ესეც, რასაკვირველია ვალიუტის მოწესრიგებაზე ჰკიდია.

— რას ფიქრობთ, საერთოდ ჩვენ ფაბრიკა-მექარხნეობაზე?

— აი ერთი კიდევ მწვავე საკითხი! ჩვენში სულ არ არის ფაბრიკა-ქარხნები. და თუ არის მეტად უსარგებლო და მოუწყობელი და ვიდრე არ გვექნება ჩვენი საკუთარი ფაბრიკა-ქარხნები—ჩვენი კოოპერაცია შეფერხდება. დღეს? სიმართლე რომ ვსთქვათ კოოპერაცია კუს ნაბიჯით მიდის, ეს მაშინ, როდესაც მოთხოვნილება, საქონლის საჭიროება, მოხმარება თანდათან იზრდება. ჩვენ დღემდის ვერ მოვახერხეთ წუმწუმას, ასანთის ქარხნის მოწყობა. სანამ საკუთარ წარმოების გაფართოებას არ მოვკიდებთ ხელს მანამ ვერც კოოპერაცია დასდგება მტკიცე ნიადაგზე.

მაგრამ მიუხედავად ზემო აღნიშნულ დაბრკოლებათა კოოპერაციას საქართველოში დიდი პერსპექტივები ეშლება წინ. მხოლოდ საჭიროა ჩვენი შრომა, პირადი ინტერესების უკუგდება, ერთი აზრით, ერთი იდეით და მისწრაფებით გამსჭვალა, რომ გაკეთდეს ის დიადი საქმე, რომელიც გვიხსნის ეკონომიურ კატასტროფისაგან.

# სასურსათო ცხოვრება.

**ხახვის მომარაგება.**

მუშებისათვის და მოსამსახურეთათვის მისაწოდებლად მუშათა მაგიდამ ბორჩალოს მაზრაში დიდძალი ხახვი შეუკვეთა. ამავე მაზრაში მზადდება შეშა მუშათა მაგიდისათვის.

**მუშებისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება.**

ფაბრიკების და ქარხნების მუშების პროფესიონალურმა კავშირმა ქალაქის საბჭოს თხოვნით მიმართა მოაწყოს ხარფუხ-ორთაჭალის რაიონში იაფფასიანი ქალაქის სასადილო და ხორცის კოოპერატიული დუქანი. საკითხი განსახილველად სოციალურ დახმარების განყოფილებას გადაეცა.

**ბაზრის ფასები.**

თანახმად სავაჭრო-სამრეწველო პალატის ცნობებისა ტფილისის ბაზარზე ოქტომბრის 12 სურსათ-სანოვაგეზე შემდეგი ფასები არსებობდა: ხორცი გირვანქა—80 მან., კამეჩის ხორცი გირვანქა 45 მან., ქათამი—400 მ., წიწილი—150 მანეთიდან, ინდაური—500 მ., ბატი—450 მან., ხიზილალა—1.000 მ., კარაქი გირვანქა—450, გადამდნარი ერბო—550 მან., ათი კვერცხი—200 მ., კართოფილი ფუთი—1300 მან., კომბოსტო—350 მ., თეთრი თაფლი—300 მ. ყვითელი—200 მან., თეთრი ფქვილი ფუთი—6.500 მან. ადგილობრივი ფუთი—3.000 მან., სიმინდი ფუთი—1.800 მან., წითელი ლობიო—1.200 მან. თეთრი—1.400 მან.

# ერობა

**სიღნაღის ერობაში.**

სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობამ შემდეგი მოხსენება წარუდგინა შინ. საქ. მინისტრს:

თანდართულ საერობო გამგეობის სტატისტიკურ ცნობებიდან დაინახავთ თუ რა უბედურება დაატყდა თავს დაწყებული მიმდინარე წლის 29 მაისიდან აქამდე სტიქიურ მოვლენის გამო სიღნაღის მაზრის მცხოვრებთ. როგორც ცნობებშიაც არის აღნიშნული, არ დარჩა ისეთი თემი, რომელსაც არ დასტეხოდეს თავს ეს უბედურება. საშინელმა და განუწყვეტელმა სეტყვამ და ნიაღვრებმა მთლად წალეკა მინდვრის მოსავალი: ვენახები, ბაღები, და სხვა. იყო შემთხვევები ზოგიერთ თემში ორ-სამ სართულიანი სახლის წაღებისა, იყო აგრეთვე ადამიანთა და საქონელთა მსხვერპლიც, როგორც მაგალითად ბოდბიხევის სათემოში. ს უბედურება, რომ დაატყდა თავს მაზრას, სამაზრო ერობამ დეპეშით გაუწყათ თქვენ და დაწვრილებით ზარალის გამოსაკვლევათ დაგზავნა თავის მომუშავე ძალები და აგრეთვე გამოითხოვა ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტიდან სპეციალისტები, რომელნიც თავის დროზე გვეწვივნენ მაზრაში და შეუდგენ მუშაობას. ზარალის გამოსარკვევად მაზრაში მუშაობდა 10-მდე კაცი (მათში 7 ცენტრალურ კომიტეტიდან), რომელნიც მოუნდნენ ამ საქმეს თითქმის ერთ თვეს, რის შემდეგაც გამოირკვა, რომ ზარალი უდრის შვიდას ოთხმოცდა ცხრამეტს მილიონს ორას ოცდაშვიდიათას მანეთს (793,227,000 მან.) აქედან სჩანს, რომ სიღნაღის მაზრის მდგომარეობა ყოველ მხრივ უნუგეშოა და რომ ყოველივე მოქალაქის გულდაწყვეტილი მდგომარეობა ცოტად მაინც გაუმჯობესდეს და მშიერ-მწყურვალე არ დავტოვოთ თუ ბევრათ არა ცოტად მაინც საჭიროა დახმარება.

ცხადია, რომ მისდა დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო არ ექმნება საშუალება სავსებით ამ ზარალის ანაზღაურებისა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭიროა ისეთი საიმედო დახმარების აღმოჩენა, რომ სამაზრო ერობას ჰქონდეს საშუალება გაუწოდოს ხელი იმ თემებს და პირთ, რომლებიც ამ უბედურებით გასწორდნენ დედამიწასთან.

მოგახსენებთ რა ზემოაღნიშნულს მდგომარეობას, სამაზრო ერობის გამგეობა გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა სადაც ჯერარს რათა მიეცეს მას მოხსენების თანახმად კრედიტი, არანაკლებ ხუთმეტი მილიონი მან. (15000000) დაზარალებულთა დახმარების აღმოსაჩენად.

—

**ოზურგეთის სამაზრო ერობაში.**

გამგეობის მიერ მოწყობილ ორთვიან სამასწავლებლო კურსების პედაგოგიურმა საბჭომ, ოზურგეთის მაზრის მასწავლებელთა კავშირის გამგეობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, 15—17 სექტემბერს განიხილა კურსების მსმენელთა გამოცდების შედეგები და ღირსად სცნო განათლების სამინისტროში წარსადგენათ წოდების მისაღებათ 130 მსმენელთაგან შემდეგი 78:

ახალაძე მარიამ, ბლავიძე იასონ, ბურძგლა ოქროპირ, ბასილია ბაბილინა, ბაჟუნაიშვილი მარიამ, გიორგაძე იაკობ, გეგეჩაძე ვასილი, გოგეშვილი ელენე, დარჩია ელისე, დოლიძე თებრონე, ვაშალომიძე მართა, იმნაძე ბაბილინა, ინწკირველი ანდრო, თავაძე გერასიმე, კალანდაძე ლიდია, კალანდაძე მიხეილ, კუნჭულია მარიამ, კალანდარიშვილი მამანტი, კალანდაძე ხარიტონ, კომახიძე თამარ, კიკნაძე გიორგი, კობიძე იაკობ, კუპრაძე ეკატერინე, ლორია ლეშკი, მახარაძე აბესალომ, მელივა გენადია, მელივა სოლომონ, მახარაძე ნიკოლოზ, მენაბდე ალექსანდრა, ნემსაძე პისტი, ნინიძე დარია, პატარაია ნიკოლოზ, სკამკოჩაიშვილი ლიუდმილა, სამსონია ნინო, ხელაძე პართენ, ჩხაიძე სეფორა, ჩხიკვიშვილი თეკლე, ჩიჩუა იონა, ჩხაიძე ალექსი, ჩხიკვიშვილი ოლღა, ჩხარტიშვილი ნინო, შალიკაიშვილი სევერიანე, ქორქოლიანი ილია, ბალთურია ქსენია, ჯორბენაძე ანნა, ურუშაძე ექვთიმე, რამიშვილი ტატიანა, ქიქოძე მარიამი, თავაძე ნიკოლოზ, ჯაშ სამსონი, მალულარია მარიამი, ჟღენტი ძე გიორგი, ხომერიკი ქსენია, ჭანიშვილი ნინო, ანდღულაძე ანდრო, ქინქლაძე შალვა, გვათუა ვარლამ, გოგიბერიძე ვალ., ძნელაძე სარდიონ, კალანდაძე თედორე, სარიშვილი და-

ვით, მინდაძე ალექსანდრე, კეკელიძე გრიგოლი, მთიულიშვილი ლიდა, ჰყონია პორფილე, ბარამიძე იოსებ, ანდღულაძე გერასიმე, ქავჟარაძე ლიუბა, გუგუნავა ოლიმპიადა, ბარამიძე ანტონ, ვაშალომიძე დიომიდე, ტუღუში პლატონ, ვადაჰკორია ექვთიმე, ჭანტურიშვილი ივლიანე, ჯიბლაძე ალექსანდრე, ქორიძე მოსე, სვანიშვილი გრიგოლი, ვასაძე მარიამი.

## რკინის გზაზე

რკინის გზის სამმართველომ კვლავ განუმეორა რკინის გზის სადგურებს, რომ მოსამსახურეთა ან ადმინისტრატიულ პირთა ვაგონის მიბმა ყოველ სამგზავრო მატარებელზე არ შეიძლება, და უნდა მიებას მხოლოდ მატარებელს № 20 22.

— რკინის გზის მოსამსახურეთა სასურსათო განყოფილებამ ითხოვა გადაეცეს მას ჩაქვასა და ნატანების შორის მდებარე მამული სათევზაოს მოსაწყობად.

იგივე სასურსათო განყოფილება ხსნის 1½ თვიან მოანგარიშეთა უფასო სალამოს კურსებს. ამ კურსებზე მიიღებენ 4 კლასის კურს დასრულებულთ.

## ფოსტა-ტელეგრაფში

**სია ჩაუბარებელი დეპეშებისა 10 ოქტომბერს.**

წინანდალიდან კიშვალიძეს; ჭიათურიდან გრიგორაშვილს; ლაგოდეხიდან სალამიანცს; სანაინიდან ჩოკიტოვს; დედოფლის წყაროდან მორინს; ახალქალაქიდან—შირაევს; ჩოხატაურიდან—შარაშენიძეს; ზესტაფონიდან—ერმიშევს; ახალქალაქიდან—სოშინას; ონიდან—ჩარკვიანს; ახალციხიდან—მარკაროვს; ქუთაისიდან—შართაიას; გალიდან—ვართოლომეევს; ლაგოდეხიდან—ბარიშნიკოვს; ართვინიდან—ციციანოვს;

11 ოქტომბერს,

ყაზბეგიდან—გირეევს; მცხეთიდან—ტერდანიქლოვს; ალექსანდროპოლიდან—ტეკენომსკის; ბორჯომიდან—ღლონტს; ალექსანდროპოლიდან—ულიაბკოვს; ალექსანდროპოლიდან—ოციკინცს; ბანძიდან—ხაინრავას; ახალ გაგრიდან—პუჩინიანს; თელავიდან—მალეევს; ალექსანდროპოლიდან—მარკოვს; სიღნაღიდან—ჯანყარაშვილს; ალექსანდროპოლიდან—ოვსეპიანს; ლაგოდეხიდან—ბარიშნიკოვს; გორიდან—პარჩინსკისას; ყარსიდან—მარტიროსიანს; ბათომიდან—დორჟინსკის;

## სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების 1920 წლის ოქტომბრის 15 დღეს სხდომაზე დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

(სხდომის გახსნა 10 საათზე დილით).

1. დარეჯან კანანოვის გარდაცვალებულ ევსტიგნე სლივკოვის შინაური ანდერძის წერილის დამტკიცების თაობაზე.

2. არშაკ ბუდულოვის ბარის ბლოცევთან ფულების თაობაზე.

3. ალექსანდრე აივაზოვის გარდაცვალებულ ფაშო ედიგაროვის მოურავეობასთან ანგარიშის მოთხოვნის თაობაზე.

4. დავით და კონსტანტინე ჰუბაბრიების ელენე (იგივე გოგუცი) ცხვიტარიასთან და სილიბისტრო ლაგვილავასთან ფულების თაობაზე.

5. ოვანეს მელიქ-აკობოვის პეტროს ბადალოვთან და აბრამ ფარხატოვთან ფულების თაობაზე.

6. მიკიჩ მალხაზოვის არტემ საგაროვთან ფულების თაობაზე.

7. მარკოზ დოლუხანოვის ფრანჩესკო რიჩჩთან ფულების თაობაზე.

8. დავით და გენია ზილბერფარბერგის ნატალია მესროპოვთან სახლის დაცლის თაობაზე.

9. პარის კოვალენსკისა სალერბო ჯარიმის დადების შესახებ.

## მილიციაში

**გვარდიელის შეპყრობა.**

1 ოქტომბერს, ტფილისის მაზრის მილიციამ შეიპყრო სართიჭალის უბანში მეორე გუნდის გვარდიელი ნიკა ჰოხონელიძე, რომელსაც სოფ. მაჩხაანში მოპარული ცხვარი აღმოაჩნდა. მოპარული ცხვარი ჩამოერთვა და ჩაბარდა პატრონს. ჰოხონელიძე მიცემულია პასუხისგებაში.

**ცოლის მკვლელის შეპყრობა.**

ქალ. ტფილისში მცხოვრებმა ყული მაშადი ალახვერდი ოღლიმ 6 აგვისტოს განაცხადა მაზრის მილიციაში, რომ მისი სიძე ალი საფარ ოღლი ყურბანოვი თვისი ცოლით ფირუზათი გაემგზავრა ტფილისიდან ყარაიაზში და მას აქეთ ორივენი უგზო-უკვლოდ გადაიკარგნენო. მაზრის მილიციის მიერ მოხდენილ კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ აღნიშნულმა ყურბანოვმა მოჰკლა თვისი ცოლი ფირუზა ყარაიაზის უბანში მდინარე მტკვრის პირას და გვამი გადააგდო მტკვარში. მკვლელი შეპყრობილია. იგი გამოტყდა ცოლის მოკვლაში და მიზეზად ღალატი დაასახელა.

**ავაზაკების დაჭერა.**

8 ოქტომბერს, ტფილისის მაზრის მილიციამ ქალ. ტფილისში შეიპყრო ავაზაკები: შაქრო დავითის ძე მარტიაშვილი, კოსტა დიომელაშვილი და ალექსი ივანეს ძე მარტიაშვილი, რომლებსაც ბრალი ედებათ მთელ რიგ შეიარაღებულ თავდასხმაში და ძარცვა-გლეჯაში, სხვათა შორის მანგლისის რაიონში ბაირამ ახვერდი ოღლის მწყემსების და სოფელ ბესტაშევის მცხ. ბერძნების გაძარცვაში. ავაზაკები ბოროტმოქმედებაში გულწრფელად გამოტყოენ. ისინი მოათავსეს საპყრობილეში, კვლევა-ძიება დამამტკიცებელი საბუთებით გადაეცა მანგლისის გამომძიებელს.

## ცნობები

**გადამდებ სნეულებიან ავადმყოფთა შესახებ ქ. ტფილისში 1—7 ოქტომბრამდე 1920 წ.**

| | | ტიფი: პარტახტიანი | ტიფი: მუცლის | ტიფი: შექცევითი | ყვავილი | დიფტერიტი | წითელა | ხოლერა | ქუნთრუშა | დიზენტერია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სწავლობენ ქალაქის პირველ საავადმყოფოში. | იყო 1 ოქტომბერს | 2 | 18 | 4 | 6 | 1 | — | 5 | — | — | 36 |
| | მიღებულ იქნენ | 1 | — | — | 1 | — | — | 2 | — | — | 4 |
| | გამოეწერა | — | 3 | 3 | 2 | — | — | 1 | — | — | 9 |
| | გარდაიცვალა | — | 1 | — | — | — | — | 1 | — | — | 2 |
| | რჩებიან 8 ოქტომბრ | 3 | 14 | 1 | 5 | 1 | — | 5 | — | — | 29 |
| ტფ. 1 საგუბერნ. საპყრობილის საავადმყოფოში | | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| წამლობენ სახლში | | — | 1 | — | — | — | — | — | — | — | 1 |
| აღნუსხულია სულ ავადმყოფ. | | 1 | 1 | — | 1 | — | — | 2 | — | — | 5 |

## განცხადებანი

დაიკარგა გვარდიის ვაგზლის რაიონის შტაბიდან მიღებული წიგნაკი № 50 ბენიამინოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3093 3—2

დაიკარგა მეტრიკული ეკატერინე სტეფანეს ასული ზალატარიევის სახელზე. მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3098 3—2

დაიკარგა მოწმობა ვლადიმერ გულაევის სახელზე, მიღებული სარეზერვო გვარდიის ორთაჭალის შტაბიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3101 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა იპოლიტე სილიას ძე გიორგობიანის სახელზე, მიღებული მეორე რაზმიდან. 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3104 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 1516 მიხეილ სოლომონის ძე ფანჩულიძის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3079 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი იასონ გლახუას ძე კახიანის სახელზე. მიცემული ქუთაისის სამაზრო სამმართველოდან. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3057 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი ბიქტორ იესეს ძე კახიანის სახელზე მიცემული ბათუმის ქალაქის მილიციის სამმართველოდან, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3057 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი ბარნაბა ნესტორის ძე ბაქრაძის სახელზე მიცემული ქუთაისის სამაზრო სამმართველოდან, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3057 3—3

დაიკარგა პასპორტი № 10 მირზა პარახ ხანას სახელზე, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3046 3—3

დაიკარგა საოჯახო მოწმობა № 6242 მელკონ ოვანეს ძე ხუბიაროვის სახელზე მიღებული სომხების საკონსულოდან ტფილისში 1920 წ. ოქტომბრის 24-ს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3054 3—3

დაიკარგა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის დამთავრების ატესტატი, და მეტრიკული ამონაწერი მარიამ ნიკოლოზის ასული სობენევსკიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3040 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსისგან 1917 წ. რეესტრით № 77 აფანასი გრინიოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3042 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი კათოლიკების ბანდი № 3 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის მარდანოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3078 3—3

დაიკარგა ფართლეულობით ვაჭრობის ნებართვა № 268 იაკუბ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3086 3—2

სამხედრო სამმართველო თანახმად 1920 წ. ოქტომბრის 2-ის გამწესრიგებელ სხდომის დადგენილებისა ეძებს ცხენოსანი პოლკის ჯ. კ. ვლადიმერ დიმიტრის ძე ახალაძე 23 წლისა, რომელიც მიცემულია სამართალში თავის ნებით გუნდის დატოვებისათვის.

ყველა, ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული ვლადიმერ დიმიტრის ძე ახალაძე ვალდებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩაზე № 32. 932 3—2

დაიკარგა პასპორტი მიღებული ონის საზ. კომისრისაგან და მეტრიკული მოწმობა ვლადიმერ ალექსის ძე ხომასურიძეს სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3092 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 8. გრიგოლი ივანეს ძე მაისურაძის სახელზი, მიღებული მე-3 კომისარიატიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3083 3—3

დაიკარგა მთავრობის საქმეთა მართველობის მიერ მოცემული პირადობის მოწმობა № 1235, 1919 წ. 5 მაისის თარიღით, რომელსაც ამით გაუქმებულად ვაცხადებ. გზათა დეპარტამენტის დირექტორი ინჟინერი ჭიჭინაძე. 937 3—2

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 1951 ბეცალელ ეხისკელას ძის კვიტელაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3090 3—2

დაიკარგა მოწმობა № 9987 ეკატერინე ათანასის ძე არხიპოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3082 3—3

დაიკარგა პასპორტი მაშადი იაკუბ გაჯიალიევის სახელზე, მიღებული განჯაში, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3111 3—1

დაიკარგა ტფ. პირველ კერძო ლომბარდის ბილეთი № 88557 10,000 მან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3114 3—1

დაიკარგა პასპორტი მარიამ მიხეილის ასული ბარჟიცკის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3119 3—1

დაიკარგა პასპორტი № 7517 კონსტანტინე პეტრეს ძე დმიტრიევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3121 3—1

დაიკარგა ატესტატი და მოწმობა ტფილისის რეალური სასწავლებლის კურსის დამთავრების კონსტანტინე პეტრეს ძე დმიტრიევის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3130 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი პროსკოვია ეგორის ასული კლიმენტიევის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3136 3—1

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრა სტეფანეს ასული ვერგილესის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1—1 (უფ.)

დაიკარგა ატესტატი და ექვსი კლასის მოწმობა, მიღებული ქალთა საეპარქიო სასწავლებლიდან და მეტრიკული ამონაწერი ანასტასია მაქსიმეს ასული კახიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3129 3—1

ტფილისის მე-3 უბნის მომრიგებელ მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის იაკობ ილარიონის ძე აკიმოვის მემკვიდრეებს რათა განაცხადონ მათ 1241 მუხ. 10 ტ. 1 გ. სამოქ. კანონის დაწესებულ ვადაში თავიანთი უფლება ზემოხსენებულ აკიმოვის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე. 3112 1—1

დაიკარგა რესპუბლიკის ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებისგან მიცემული წიგნაკი № 8095, უფროს ლეიტენანტ სარალიძის სახელზე. გაუქმებ. ჩაითვლება. 3131 3—1

სააქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ნიკოლოზ ზაქარიას ძე მდივანოვმა დაჰკარგა ოქმი არყის გამოსახდელი ქვაბის ზომისა, 19 ოქტ. 1909 წლ. № 30, რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 3134 3—1

დაიკარგა წიგნაკი ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებისა, № 8707, ლეიტენანტ მიხეილ ანანიაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვლება. 3128 3—1

სააქციზო სამართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის პატრონს სტეფანე ხაჩატუროვს დაუკარგავს ღვინის შეძენის ნებართვა მიცემული სააქციზო სამართველოს მიერ 1920 წლ. 18 მარტს № 1445. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3127 3—1

სააქციზო სამართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის მეპატრონემ მიხეილ პოპუაშვილმა დაჰკარგა ღვინის ჩამოტანის ნებართვა ამხან. „ერთობასი“ მიცემული 28 იანვ. 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვლება. 3116 3—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ შენგელაია.